


საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეორე

2/7

## მცირე წლოვანთათვის

## № XIX

## ოქტომბერი

**1906**

ტფილისი

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა", მიხაილოვის ქუჩა № 65.

1906

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინაარსი:

1. ბებია და შალიკო.—ლექსი ი. ევდოშვილისა . . . 3
2. მკვეხარა პავლია.—თ. რაზიკაშვილისა . . . . . . 6
3. ოქროს ქათამი.—(ხალხ. ზღაპარი), დასასრული დათ. კილოსანიძისა. . . . . . . . . . . . . . . . . 17
4. გეოგრაფიული ცნობანი.—(თარგმანი ინგლისურით) გაგრძელება . . . . . . . . . . . . . . . . . 22
5. გასართობი.— . . . . . . . . . . . . . . . . 26



# ბებია და შალიკო

თბილისი



ბებია შემოკალთილა,
ბოსტანსა ჭმარგლის კვნესითა,
ბალახ-ბულახებს კვალებში
ჰგლეჯავს რიგით და წესითა!

—

თან უხარიან, ამაგი
რომ არ წაუხდა წლეულა,
კიტრსაც იმდენი მოუსხავს,
რომ გვერდზედ წამოქცეულა!

—

ცერცვი, ლობიო...რაღა სთქვას,
შიგ ქრისტეს თვალი ტრიალებს,
სარწყავიც იქვე ახლო აქვს,
წყარო რომ გადმოთქრიალებს!

—

მაგრამ ერთი ჰყავს მას მტერი,
მის შვილის-შვილი ჰაწია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარულისგან კუდიანს
ლოყები დაუბრაწია!

—

კიტრს აღარ არჩენს, მუხუდოს,
ცერცვს ატკბანურებს ჩუმადა,



ბებია კარგად ვერ ჰხედავს,
ამანაც გააგულადა!

—

და აი, ესლაც ის ჰმარგლის,
და შალიკო-კი კიტრებში
მიმჯდარა ჩუმად, ზოგსა სჭამს,
ზოგსაც ილაგებს ჯიბეში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე კაი მუშაა,
ბოსტანსა ჰმარგლის ბებია,
შვილის-შვილი-კი იცინის,
გაუტენია ყბებია!

**ი. ევდოშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მკვეხარა პავლია.

ტყუილაც იყო პავლია და მკვეხარაც.

— შესანიშნავი მონადირე ვარო,—იძახდა ხოლმე.—მე რო თოფი მქონდეს, ეჰრიჭაა! იმდენს დავხოცავ, იმდენსა, რომ...

— რას დახოცავ, პავლიავ, მგლებსა, დათვებსა, თუ ირემებსა, ჭა?

ჭკითხავდნენ ხოლმე დაცინვით ამხანაგები.

— ტყუილებსა!—გასცინა ერთმა.

— არა, კალიებსა და ბუზებსა,—დაურთო მეორემ.

— არა, მგლებს დახოცავს, კაცო, არ იცით, რა გულადია?—დაუმატა მესამემ.

— მგლებიო?!—დაფიქრდა პავლია, ჭაი, ჭაი, რო კაი ბიჭობაა მგლის მოკვლა, მაგრამ, მაგრამ... და ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა.

— მგელი? ვინ მოჭკლავს მგელსა?! თურმე ნაკვერჩხალი-

ვითა აქვს თვალები და, როცა კბილებს აკაწუნებს, სულ ცეცხლის წინწკლებსა ჭყრის. აი, ბნელა ღამეში რო ტყეში ხან-და-ხან სინათლე გამოჩნდება ხოლმე, ის მგლის თვალებია თურმე.

,,არა, არა! ფიქრობდა ჰავლია, მართალია, მონადირე ვარ, თოფიც მიყვარს, არც სროლისა მეშინიან, მაგრამ მგელზე ნადირობას მაინც როგორ გავბედავ? მამა დამპირდა, თოფს მოგიტანო. მომიტანს კიდეც, ვიცი, სანადიროდ წავალ ვენახში. მგლები-კი ტყეში არიან; ვენახში ხომ ვერსაიდან შემოძვრებიან, იმ სიმაღლე ღობე არტყია და მერე სულ ეკლებითაა შემოვლებული. ისეთი შეერჭობათ ფეხში მეძვის ეკლები, რომ სულ სიმწარით ემუოდნენ. ჭოო, ეგრე გინდა, შე სისხლის მსმელო, შენა! კიდევ გადმოხვალ ვენახში? გინდა ყურძნები და ხილები შეგვიჭამო? დიახ! ვერ მოგართვეს, შენთვის ხომ არ დავრგეთ? გნებავს-კი მწიფე მტევნები ტვლიპო და წითელი ვაშლები კბიჩო? ერთი გნახოს ჩვენებიანთ ნიკუამ, თავის დიდი თოფი როგორ გესროლოს!"

ასე იმუქრებოდა ჰავლია, მაგრამ გუნებაში-კი ღმერთს ევედრებოდა, ის სატიალე მართლა არსაიდგან გადმომძვრალიყო ვენახში. მერე ყურძენიც მწიფდა, ატამიც თვალშესული იყო, გულაბებსაც კიდევება აქა-იქ დაშაქრებული მსხლები, ჯამის ტოლა მოწივით წითელი და ქარვასავით ჩაყვითლებული ქაშა ვაშლები ხომ იმდენი ეყარა ვაშლების ქვეშა, რომ ფეხი აუგორდებოდა კაცსა.

— ჩვენს სახვის კვლებში ირმებს უვლიაო!—ეუბნებოდა ერთხელ ჰავლია ამხანაგებსა. ღმერთმანი, არა ვტყუი, ბიჭებო, გინდა, ჩვენს ნინოსა ჰკითხეთ. ისეთი ტოტიანი რქები ჰქონდა თურმე. ნაკვალი ესლაც ეტყობა; იმ საოხროს სულ ჩაუქელია სახვები. აბა იმაზედ არის კარგი ნადირობა, აი!

— ჭო ჰავლე! თქვენი ბოსტანი რო მალიან შეღობილია,

აბა იქ მროხები და კამეჩები ხომ ვერ გადავიდოდნენ, შენმა მზემა!—ეუბნებოდნენ დაცინვით ამხანაგები. მაგრამ პავლია თავისას არ იშლიდა: ნამდვილად ირემი ჩამოვარდნილაო.

— გეყოფა მაგდენი ტყუილი, პალე, გეყოფა!

—

ზაფხული გავიდა. ზაფხულის ალაგას შემოდგომა ჩადგა. ვენახიდან წითლად დამკრახული მტევნები ნერწყვსა ჰგვრიდა პავლიასა და იმის ამხანაგებსა. მწიფე, ყვითლად დაშაქრებული მსხლები და წითელი ვაშლები თავს უკრავდნენ პატარა მსუნაგებსა, ესენიც მთელი დღეები ვენახების ირგვლივ ატრიალებდნენ ხარებს, სუნი მაინც მოგვივაო. ჰსინჯავდნენ და უკირკიტებდნენ, გადასამრომი ხომ არსაიდან არისო. აბა, რას დაიხვალიებდნენ, თუ-კი დროს იპოვნიდნენ და მებაღე არსაიდან არ მოასწრობდა. თუ ვერაფერს გახდებოდნენ, მერე-კი მებაღესა სთხოვდნენ, გვაჭამეო. მებაღეც მოაგროვებდა კეტრიანს ნაყარს ვაშლებსა, დაჟეჟილს მსხლებსა და გადმოუყრიდა ღობიდან. ახლა უნდა გენახათ, რა ყურთა გლეჯა ჰქონდათ ამ ვაშლებზედა!—ყველა ცდილობდა მეტი აელო და უბე გაეტენა.

— ე, ჩვენებიცა,—იძახდა ერთი,—როცა წალამია მოსაგროვებელი და ფიჩხია ასაკრეფი, მაშინ მარდად მეძახიან:—ვარდო, ვენახში წამო, წალამი აკრიფეო. თოხნა-მარგვლაში და მუშაობაშიაც არ მიკლებენ და ახლა-კი შიგაც აღარ გადამახედებენ ხოლმე.

— ჰო და, კაცო, ეს სამხარ-სადილი ჩამოგვიტანეო, ეს ცივი წყალიო! აბა ახლა დამიძახონ და ჩამატანინონ, ღვთის წყალობა გაქვს მე მტევნებს ჩამოვტვლეპ!—ამბობდა მეორე.

— იცით, ბიჭებო,—ჩაერია პავლიაცა,—ჩემს ძმას რო სადილს ჩავუტან ხოლმე, კარებიდან გამამართმევს და არც-კი გადამახედებს ვენახში, რო დავინახო, როგორი ყურძენი ასხია. როცა მოვკრეფთ, მაშინ ჩადი და რამდენიც გინდა იარეო,

მეუბნებიან; საკუთრად დაგრჩება სამცვრევადაო*). მამა ჩემმა ხილები გაყიდა, მეუბნება, თოფსაც მოგიტანო. ჰე, ბიჭებო, აბა მაშინა ნახეთ, როგორ დავაქუხო ხოლმე! თქვენც გასროლინებთ, განა! თქვენ წამალი მოიტანეთ ხოლმე. ერთი ეგ ყვავები სულ გავწყვიტოთ, რომ დედაჩემს მაგათგან მთელი ზაფხული მოსვენება არა აქვს. ხან ბატის ჭუჭულებსა სტაცებენ, ხან ინდოურების ჭუკიებს, ხან ქათმის წიწილებსა.

— აბა, ის გასატიალებელი, ჩვენც სულ გაგვაცია!—დაემოწმნენ ამხანაგები.

— ბუდე გლახუნაანთ კაკლების წვეროკინაზე აქვს და პირდაპირ იქ მიაწიალებს ხოლმე წიწილებსა. ვერავინ გაბედა ასვლა, კაცო, რომ ჩამოეშალათ.

— მე ავცოცდი იმ დღეს, ყვავს ბოლო ჰქონდა გადმოშვებული, ის იყო ხელი ვტაცე, უნდა დამეჭირა, მაგრამ დაიფთხრიალა და გამეშვა, ნახევარ ბოლო ხელში შემრჩა. წამივიდა ი ვერანა!—იცრუა პავლიამ.

ამხანაგებს სიცილი აუტყდათ:—დაიკარგე, შე ლახიანო! ფეხებს ძლივს დაათრევ, ვის ატყუებ, შე ურალო, შენა!

— ღმერთმანი ავცოცდი, ირწმუნებოდა პავლია.—დედა არ მამიკვდება, რომ ასვლა მინდოდა, მაგრამ გაფრინდა და მეც აღარ აველ, რა-კი გაფრინდა. მინდოდა შიგ დამეჭირა და როგორც ერთხელ სალახანამ (ბიჭის სახელია) ცოცხალს ნავთი დაასხა და მერე ცეცხლი წაუკიდა, მეც ისე მინდოდა მექნა!

— ჰო, მართალია, არა ტყუის,—დაემოწმა ქერა წყალობა ბიჭი,—ისეთი სტოდა ი ვერანა და ჩხაოდა, რომ სიცილით მოკვდებოდა კაცი.

—

*) მცვრევას ეძახიან, რთველს შემდეგ რომ ვენახში აქა-იქ ვაზებზედ ყურძენი სადმე შეჰრჩება ან დაიბნევა, იმის ძებნასა.

პავლია მარტო ერთში გამოდგა მართალი: მამამ ქალა-ქიდან მართლა მოუტანა თუნუქის თოფი და კალის პატარა ხმალი.

— უჰ, ბიჭებო!—იძახდა ლოყებ დასიებული ლადა; რა თოფია, კაცო, რა თოფი! ისე ბჭყვრიალებს პალიას თოფი, თითქო ვერცხლისააო! ისეთი წითელი კონდახი აქვს, ნაზუ-ქივით დაბრაწული. ახლა რა ხმალიც მოუტანია, და!

წმინდა ვერცხლისაა, მზესავით ანათებს ი ვერანა!

— ჰეეე! ბიჭებო! ნეტავი იმასა!

— ჰო-ოდე, გუშინ იძახდა, ხარებში უნდა წამოვიღოვო და იქ ვისროლოთო.—სთქვა ცუცნიამ.

— დაიკარგოს ი ყრალი! ი რა თოფის ღირსია!—შაი-შურა ვიღაცამ.

— ოი, და-დაა! რა კარგია, კოტორავ, მეცა ვნახე, ისე-თია რომა! ნეტავი მეცა მქონდეს იმითანა თოფი! უნდა უთხრათ, ყველას გვასროლინოს. წამალი არ უნდაო, ისე თა-ვისთავად ისვრისო.

დიდის ამბით, მოუთმენლობითა და გულის ფანცქალით მოელოდნენ პავლიას ტოლი ბიჭები იმის თოფისა და ხმლის ნახვასა. ბევრსა ჰშურდა გულიგულში პავლიასთვის თოფი, მაგრამ როგორ დაიმჩნევდა. ყველანი პავლიას გზას გასცქე-როდნენ; ხარები რო გამოჩნდებოდა ვისიმე, ყველა ქრიამულს ასტეხდა ხოლმე,—მოდის, მოდისო! ყველა ცდილობდა გზა-შივე დაჰხვედროდა პალიასა და პირველს ენახა იმისი თოფი და ხმალი.

აგერ გამოჩნდა პალიაც. აჩქარებით მოერეკება თავის ყე-ვარ ხარ-კამეჩსა. გამეტებით უტყაპუნებს და უტყაპუნებს სახ-რეს საქონელსა. კამეჩების გვერდებს ხოკერივით ფახა-ფუხი გააქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჭამო, შე მგლის ლუკმავ! ახლა მოგინდა მოვნა, შე სავერანევ?

ჰალიას უფრო მალიანაც ეჩქარებოდა ტოლ ბიჭებში მისვლა. ხმალი ჩამოეკანტურა, თოფი მხარზედ გადაეგდო. თავს იდებდა, სულ ინდოურივით იფხორებოდა.

— დამაცათ, კაცო! აღარ დამაცდით, თქვე ოჯახსქორებო, რომ მოვიხსნა?! — არ ჩამომაგლიჯოთ, რას ეწევით, ეი! ისე იქცევით, თითქო არა გენახოთ-რა! — ჯავრობდა ჰავლია. მაგრამ სანამ ჰავლია აიხსნიდა, ბიჭებმა უკვე აჰყარეს იარაღი და ჰავლიას აბჯარმა ხელიდან ხელში იწყო გადასვლა.

ზოგი უმიზნებდა, ზოგი ფეხს ეწეოდა, ზოგი შიგ იხედებოდა და უბერავდა; რომელიც უფრო გულადი იყო, აჩხაკუნებდა.

— ემანდ არ გაგივარდეთ, ეშმაკმა არ გატენოს, ეე! — აფრთხილებდა რომელიღაც მშიშარა ბიჭი. ბალღებმა სიცილი ასტეხეს, ერთმა თოფი მთქმელს დაუმიზნა.

— თქვი, ჭა, რაში მოგარტყა, თვალში თუ მუცელში?

ბიჭებმა უფრო უმატეს სიცილსა, მშიშარას შემოეხვივნენ გარსა. იმასაც შერცხვა, გაწითლდა.

— რა ვიცი, ეგრე გამიგონია, ეშმაკი გაჰტენს ხოლმეო. მართლულობდა თავსა.

ზოგი ხმალს იღებდა და ფხას უსინჯავდა, წვერზედ თითს უსვამდა. ან ხესა სთლიდა, მაგრამ როგორღაც არ ეკარებოდა ხესა. ეს-კი, ცოტა არ იყოს, ეუცხოვათ, საეჭვოთ ეჩვენათ. წვერი არ იჩხვლიტებოდა და პირი არა სჭრიდა, მაშ რის მოსახმარი-ღა იყო. მაგრამ ისეთი თეთრი იყო, ისეთი პრიალი გაჰქონდა, რომ როგორ შაიძლებოდა იმისი უვარგისობა.

— ვერცხლისაა, ჰავლე? — ეკითხებოდა კურკა, მეტ სახელად რწყილსაც რომ ეძახდნენ. — მაგისთანა ბჭყვრიალაა ე დალოცვილი!

— მაშ რისაა? სულ წმინდა ვერცხლიაო, მამა ჩემმა თქვა, —გაიბღინძა პავლია.—განა ცოტა მიუცია; იცით, ასე თქვა მამა ჩემმა, ერთი მუჭა ფული მივეციო.

— არ გასუნდება და არც დაჟანგდება, პალე, არა?—ჰკითხავდნენ ცნობის მოყვარე ამხანაგები პავლიასა. ისიც დიდ მცოდნესავით იბერებოდა.—რა დააჟანგებს, რკინისა ხომ არ არისო!

ამ ამბით გაატარეს ბიჭებმა დრო რთვლობამდე.

—

მოიცალა ვენახმა და მოიცალა პავლიამაც ვენახში სანადიროდ და სამცვრევად. ახლა-კი აღარავინა ჰყვანდა ხელის შემშლელი, გინდა მთელი დღე იქა მჯდარიყო. მაგრამ სანამ ნავში და გოდრებში არ გამოილია ყურძენი, სანამ არ წასულა სამცვრევად, მერე-კი სიმსუნაგემ ძალა დაატანა და გადასწყვიტა ვენახის მცვრევა.

ვენახი მაან სამცვრევი გამოდგა. სადაც ყურძნიანი გოდრები მდგარიყო, ერთი დუნია მარცვალი ეყარა. მიჰყვა პავლიაცა და ელაპა და ელაპა ინდოურივით. სქელს ვაზიანებში-კი ვერ გაბედა შესვლა, ვაი თუ მგელი იჯდეს სადმეო. ისევ ვაშლებისა და კაკლების მოვლა არჩია. კაკლით უბეები დაიტენა და ვაშლებიც ჩაკმიჩა, მაგრამ ყურძენზედ უგემურად ეჩვენა. ვენახიც იმის თვალში როგორღაც გაიზარდა. სულ რაღაც ფაჩი-ფუჩი და შრიალი ესმოდა, არც თუ ისეთი ქარი იყო, მაგრამ ყურს რო დაუგდებდა, რაღაც აფაჩუნებდა. ბალახსა და ვაზის ფოთლებს ანძრევდა. ჩიტები მრავლად დაფრინავდნენ, ვაზისა და ხილების ფოთლებში ძვრებოდნენ, ღილიფარის თავებს სჩიჩქნიდნენ, მიწაზედ ბალახის თესლსა და ჭია-ღუას ეძებდნენ. ზოგი მიწაზედ ისხდა, ზოგი სადღაც მიეშურებოდა. იქით სადღაც ვენახის ჩალა-ლელიან წნორებში კაჭკაჭი გაშმაგებით ჩხაოდა, ხის ტოტებზედ ახტოდა და ჩახტოდა, გაცხარებული ამხანაგებს უძახდა. ჯერ ერთი კაჭკაჭი გაჩნდა საიდანღაც, ჩუმად მოფრინდა და ნერგის წვეროკინაზედ დაჯდა; მიტრიალ-

მოტრიალდა, გაოცებით ასწივ-დასწივა თავის ხმალივით ბოლო და დაშტერებით ერთს ალაგს დააშტერდა. მერე მორის ტოტზედ ჩაეშვა და ჩხავილი და ჭყრიალი მორთო. მეორეს მესამე მოემატა, მესამეს—მეოთხე, მეოთხეს—მეხუთე და შესდგა მთელი გუნდი. ერთი ნერგიდან მეორეზედ სხდებოდნენ, მაინც ერთ და იმავე ალაგს დასტრიალებდნენ. ეტყობოდათ, რაღაცა დაინახეს, ერთ-თავად ჩხაოდნენ და ჭყრიალებდნენ. ჰავლიას გული მიეცა: ამოდენა კაჭკაჭები აქ რა თავს მოიყრიდნენ, საშიშს რომ რასმეს ჰხედავდნენო. წავიდე, ერთი ჩემი თოფი გავატყრო და გულები დავუხეთქო მაგ სატიალოებსა; მაგათგან აღარაფერსა აქვს მოსვენება, სიმინდები სულ მაგათ დაგვიკორტნეს, ტაროებს ნახევარზედ აღარ ასხია მაგათგან მარცვალი. ახლა კიდევ ერთ-მანეთს ეძახიან, მოდით, ვიმცვრიოთ, თორემ ჰავლია დაგვასწრობსო. მე გამცვრეინებთ, თქვე ვერნებო, თქვენა! ამ წითელ ვაშლებს რო მ.ეკორტნით, ისა-კი არ გეყოთ?!

ჰავლია ვენახის ნაპირს შეჰყვა, თოფი მოიმარჯვა, გული გაიმაგრა, თუმცა ვაზების ხმელ ფოთლებში საზრდოს მძებნელ თავის ფაჩი-ფუჩიც-კი აკრთობდა და საშიშრად ეჩვენებოდა.

ჰავლეს მიახლოვებაზედ მიწაზედ მსხდომი ბეღურების ბოინი (გუნდი) აიშალა და ჟივილ-ხივილით ღობეებსა და წნორებს აესხა. კაჭკაჭებმა ხმა გაიწყვიტეს და დაშლა იწყეს. ზოგი გაჯავრებული გაფრინდა, ზოგნი იქვე ახლო-მახლო წნორებზედ დასხდნენ და დაისვენეს, ქარი ამოიღეს. ახლა ჰავლიაზედ ეჭირათ თვალი.

— შეშინდით განა, თქვე ვერნებო, რაკი თოფი დაინახეთ, ჰა? ერთი მანდ მოვიდე, მე გაყურებინებთ თქვენს თამაშასა!

წათამამებულმა ჰავლიამ ფეხი აუჩქარა.

კაჭკაჭები ჯერ არ ეპუებოდნენ, იქვე ახლო-მახლო ცვლილობდნენ ალაგს, მაგრამ ვიღაცამ შენიშნა, რომ ჰავლიას რაღაც თოფის მსგავსი ეჭირა ხელში.

— ე-რიჰაა! ახლა-კი სახუმარო აღარ არის, თუ არ მოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორდით მაგ ბალღსა!—დაიჭყვირა ვიღაცამ: არიქათ, თავს უშველეთ, ჩვენ მოსაკლავად მოდისო!

სადაც-კი ღობეებში რამ კაჭკაჭები მსხდარიყვნენ, აიშალნენ და კუდ-ამომუებულებმა ვენახებს შეაფარეს თავი. ჰავლიამკი ღიღინით გასწია იქითკენ, სადაც კაჭკაჭები ისხდნენ.

მაგრამ რათა ჩხაოდნენ კაჭკაჭები? რათ მოიყარეს ერთად თავი?

ხასიათადაა სჭირთ. უცხო ფრინველს ან ნადირს რომ დაინახვენ, მოიყრიან ერთად თავსა და ჩხავილით თავს დასტრიალებენ. ეხლაც კურდღელს მოჰკრეს თვალი და იმაზედ ასტეხეს განგაში. ჰავლიას ხმაურობამ თურმე წამოახტუნა, დამფთხალმა ვენახის ნაპირ-ნაპირ შემოირბინა და ღობის მირას ლელიანებში ჩაწვა.

კაჭკაჭებმა სწორედ ამ დროს მოჰკრეს თვალი და ისე გაცოფებით იმიტომ დასჩხაოდნენ. კურდღელი ყურადღებასაც არ აქცევდა კაჭკაჭების ჩხავილს, თავისთვის არხეინად ლოგინს ისწორებდა, ბუნაგს ლელით აგებდა. ამათ ჩხავილში სხვა აღარაფერი ესმოდა. მაგრამ რაკი კაჭკაჭები აფრინდნენ და იმათი ხმა მისწყდა, კურდღელს ღიღინი და ფეხის ხმა მოესმა; ბევრი აღარ უფიქრია, გადმოხტა გზაზედ და პირდაპირ ჰავლიასკენ დაეშვა.

არ ვიცი, ჰავლიას დანახვაზედ დაეცა თავზარი, თუ გაუკვირდა, კურდღელი უცებ შედგა და დიდრონი თვალები ჰავლიას შეაჭყიტა.

ჰავლიაც უცებ გონს ვერ მოვიდა, შიშისაგან ვერ გაარჩია კარგად, რა ნადირი იყო. ის-კი დაინახა, რომ თითო მტკაველი ყურები ჰქონდა, დიდი მუშტის ტოლა თვალები, თითო მტკაველი კბილები და თვითონაც რაღაც საზარელი ბანჯგვლიანი მხეცი იყო.

ერთი კი დაიღრიალა ,,ვაიმე‘‘-ო! თოფი იქვე გაჰვარდა,

რაც ყურმენი თუ სილი ჭქონდა ხელში, ისიც დაებნა; იმდენი მალა კიდევ შეჭრჩა, რომ უკან მობრუნდა და თავგადაგლეჯილი გზა-გზა დაეშვა.

კურდღელიც გონს მოვიდა, ერთი კიდევ შეჰხედა შეშინებულმა ჰაბლიასა და მოკურცხლა.

მირბის ჰაბლია, მირბის რას მირბის, რომ სულ მიფრინავს; კურდღელსაც აჭარბებს და მგელსაცა. მისტის, როგორც ველის კანჯარი, როგორც ხარი ირემი! მიქშუის, როგორც შავარდენი! გაქცევით-და თუ უშველის თავსა, თორემ სხვა გზა აღარსაიდგანა სჩანს! აგერ, ვენახს მეორე მხარეს მოექცა, საცაა კარებიც გამოჩნდება, მაგრამ!.. ეჰ! აღარ მინდა ვსთქვა,—ამ დროს უცბად ფეხში საზარელი მხეცი სწვდა კბილით! ჰაბლიამ სწორედ ასე იგრძნო. იქნება ქალამანიც წამოსდო მოჭრილ მირხვენის ჯოყარსა (ღეროს) ვინ იცის, მაგრამ ჰაბლიას-კი ნამდვილად



ეგონა, რომ რაღაცა საშიშარი ნადირი დააჯდა ზემოდანა. საწყალი მირს ღრიალით გაიშხლართა.

რაღა ეშველება?! უკვე სჭამს ნადირი, კბილები ჩაუყარა. თბილი სისხლი წურწურით გასდის კანჭებზე! შუბლზე ოფლ-მა დაჭხეთქა. თვალები დახუჭული აქვს, არ დავინახო მაინ-ცაო.

ბედად ახლოს იმის ტოლ ბიჭებს ჭყოლოდათ ხარები და შეჭსმენოდათ, პავლია როგორ გულსაკლავად ღრიალებდა. ხელად ვენახში შეცვივდნენ და პავლია გაშხლართული-კი ნა-ხეს ვენახის გზაზედ. მართლა ძირხვნის ძირისათვის გამოე-დო ქალამანი პავლიასა; იმას საზარელი მხეცი ეგონა. არსად სისხლი, არსად მჭამელი! ააყენეს პავლია. ყველანი ირგვლივ შემოეხვივნენ, თავგადასავალი გამოჭკით ხეს. როდის, რო-დის ძლივს ამოიდგა პავლიამ ენა და უამბო ამხანაგებს თა-ვისი გაჭირვება. ამხანაგებს სიცილით სულმუცლები ასკდე-ბოდათ.

— მართალია, პავლიავ, ის ნადირი ვენახიდან გამოსტა, გრძელ ყურებიანი კურდღელი იყო, იმას შეუშინებიხარო. ბევ-რი იცინეს და მერე კიჟინით მოედვნენ სამცვრევს. პავლიას-კი ჯერაც ისევ მხეცი მჭამელი ელანდებოდა.

თ. რაზიკაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს ქათამი.

(ხალხური ზღაპარი).

(გაგრძელება)

გათენდა მეოთხე დილა და ხელმწიფემაც მაშინვე მოიკითხა თავისი ქალი და ექიმი. მაგრამ ვერსადა ნახეს. გაგზავნეს მაშინ კაცები ყველა მხარესა და დაუწყეს ძებნა. მაგრამ რას იპოვიდნენ?! შეჰხვდნენ სახედრიანს კაცსა, მაგრამ რას მიჰხვდებოდნენ, თუ სწორედ ამ სახედრად იყო ქცეული ხელმწიფის ქალი. კაცები უკან დაბრუნდნენ და მოახსენეს ხელმწიფესა, ვერსად რა ვნახეთო. მაშინ ხელმწიფემ გაჰგზავნა წერილები სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში, მაგრამ ვერც იქიდან მიიღო სანუგეშო ამბავი.

ჩვენი ექიმი-კი ამასობაში ერთს უცნობს ქალაქში დაბინავდა, დაიჭირა ოთახი და დაიწყო წინანდებურად უდარდელი ცხოვრება: მუდამ დილას თავ ქვეშ ოქროთი სავსე ჰარკსა პოულობდა. ვირსაც არ იშორებდა თავიდან: ჯაჭვით დაბმული ჰყავდა ქამარზე.

ქალაქში ამ დროს ხელმწიფე ამოერჩიათ ახლად. ხელმწიფეს ძველი სასახლე აღარ მოსწონდა თურმე და ახალი სასახლის აშენება მოეწადინებინა, სანდო კაცისთვის ჩაებარებინა ეს საქმე და ებრძანებინა, მუშებისთვისა და ოსტატებისთვის ერთი-

სამად ეძლიათ სამუშაო ფასი, რომ სასახლე ლოცვითა და კურთხევით აშენებულიყო. გაიგო თუ არა ემაწვილმა, რომ რაღაცა შენობას აშენებენო, მივიდა მაშინვე იმ კაცთან, რომელსაც ჰქონდა ჩაბარებული ეს საქმე და გაურიგდა ნახევარ ფასად ეზიდნა ქვა სახედრითა. გადაჰკიდა ორი დიდი გოდორი სახედარსა და დაუწყო ქვას ზიდვა. სახედარი მალე შესწუხდა, ბევრი ცემისაგან მთლად დაუიარავდა ზურგი. მუშების ზედამხედველმა რომ ესა ნახა, უთხრა ემაწვილსა: ძმაო, ნუღარა ჰზიდავ მაგ სახედრით ქვასა, აღარ გივარგა; ხელმწიფე მალმალ დაიარება შენობის დასახედავათა და თუ დაგინახა, რომ აგრე უწყალოდ ექცევი მაგ ვირსა, მეც გამაუბედურებს და შენცაო.

— მოჰშორდი, წადი აქედანო! არად ჩააგდო ზედამხედვლისგან ემაწვილმა დათხოვნა: ფასიც რომ დამიკლო, მაშინაც ვზიდავ; მაშ რითი ვიცხოვრო, ღარიბი ვარო?!

ბევრს ეცადა, ბევრი სთხოვა ზედამხედველმა, მაგრამ ემაწვილი ვერასფრით ვერ მოიშორა თავიდანა.

ერთს დღეს მართლაც შენობის სანახავად ხელმწიფე მოვიდა. ხელმწიფე გზად სახედარს წააწყდა; ნახა თუ არა საცოდავი სახედარი, დაენანა, საშინლად გაურისხდა ზედამხედველსა და გამოჰკითხა: რა მიზეზია, რომ ასეთს საცოდაობასა ვხედავო? ზედამხედველმაც მოახსენა: დღეგრძელი იყოს ხელმწიფე და ნუ მოგვაკლოს მისი წყალობა! დიდი ხანია ვითხოვ ამ კაცსა, მაგრამ ვერას გზით ვერ მოვიშორე თავიდანა, იმახის: სულაც რომ შემიმციროთ ფასი, მაშინაც ვიმუშავებ, ღარიბი ვარო. მაშინ ხელმწიფე თავად მივიდა კაცთანა და უთხრა: აღარ გაჰბედო, შე უღმერთოვ, აქ მუშაობა მაგ საცოდავ სახედრითაო და ერთი მუჭა ოქრო გაუწოდა. მაგრამ ემაწვილმა ფული არ მიიღო: მე მინდა ნაშრომი ფული და არა ნაჩუქარი, საქმეს თავს ვერ დავანებებო! ჰბრძანა მაშინ ხელმწიფემა, გაეგოთ იმისი ბინა და მეორე დილას მეფეს ჰხლებოდა.

რასაკვირველია, გაიგეს მისი ბინა და გამოუცხადეს ხელმწიფის ბრძანება; ყმაწვილი დასთანხმდა და თან თავისი სახედარიც წაიყვანა. როდესაც სასახლესთან მივიდნენ, უთხრეს: ახლა-კი სახედარი აქ გაუშვი და ისე ეახელ ხელმწიფესაო. მაგრამ ყმაწვილმა იუარა, სახედარს ვერ მოვშორდებიო. უბრძანა მაშინ ხელმწიფემ სახედრიანად შეეყვანათ. ხელმწიფის კარებთან რომ მივიდა, წინ რამდენიმე კიბე დაუხვდა ასავალი; წაიგდო მაშინ წინ სახედარი და დაუწყო უწყალოდ ცემა; სახედარი ძლივს ჩოქვით ავიდა კიბეებზედა, ფიქრობდა საბრალო: იქნება ახლა-კი მეშველოს რამე, ხელმწიფემ მიხსნას ამ საში-



ნელ სატანჯველისაგანაო. ამიტომაც, როცა შეიყვანეს ოთახში, მიუახლოვდა ხელმწიფესა, დაუჩოქა და მორთო საშინელი ღრიალი. ამის მნახველმა ხელმწიფემ ძალიან გაიკვირა ესა, კანკალმა აიტანა და ბოლოს ჰკითხა: რა არის მიზეზი, რომ

შენ ეს საცოდავი პირუტყვი ამ სატანჯველში ჩაიგდეს? მითხარ! აქ ჩვენს მეტი არავინ არისო. ყმაწვილმა უპასუხა: რა უნდა იყოს მიზეზი?! სახედარი ჩემი საკუთრებაა და, როგორც მინდა, ისე მოვექცევიო. რომ ნახა ხელმწიფემა, ყმაწვილი არ აძლევდა სწორე პასუხსა, შორიდგან დაუწყო გამოკითხვა: რომელი ქვეყნიდანა და რა ქალაქიდანა ხარო. მაშინ ყმაწვილმა უპასუხა: სწორედ მოგახსენო, თვითონაც არ ვიცი იმ ქალაქის სახელი, საიდანაცა ვარ; ვიცი მხოლოდ, რომ ჩვენ ორნი ძმანი ვიყავით და წამოველით სამშობლო ქალაქიდან სხვა ქალაქში; იქ ერთმანერთი დავკარგეთ, რადგანაც დიდი არეულობა იყო ხალხისა. მას შემდეგ—ხან სადა ვარ, ხან სადაო. მაშ შენ დედ-მამა არა გყავდა, ან სხვა ნათესავებიო? იკითხა ხელმწიფემ.—როგორ არაო! დედინაცვალიც მყავდა, მამაცა და მოხუცი დიდედაც; სწორედ ეს მოხუცი დიდედა იყო მიზეზი, რომ ჩვენ დედ-მამას მოვშორდითო.

— აბა მიამბე როგორ? იკითხა ხელმწიფემ.

მაგრამ ყმაწვილმა აღარ ამოიღო ხმა. ხელმწიფეს საშინლად ატკინა გული ყმაწვილის უბედურობამა; მოაგონდა თავისი ყმაწვილობა, დედ-მამა და ნამეტნავად საყვარელი ძმა, მოაგონდა „ოქროს ქათამიც“, ამოუჯდა გული და ტირილით ჰკითხა: „ოქროს ქათამი“ ხომ არა გყავდათო თქვენა?—როგორ არა! გვყავდა „ოქროს ქათამი“, რომელიც დღეში თითო კვერცხსა სდებდაო.

მიჰხვდა მაშინ ხელმწიფე, რომ საცოდავი სახედრის პატრონი მისი ძმა იყო, მიჰვარდა და დაუწყო ხვევნა და კოცნა. გამოუცხადა ეს ძმასაცა და უამბო თავისი თავგადასავალი, ღვიძლის წყალობით როგორ გახდა ხელმწიფეთა და ყოველ დილას თავ ქვეშ როგორ ოქროთი სავსე პარკს პოულობდა. ძმამაც უამბო თავისი თავ გადასავალი და ხელმწიფის ქალის ვირად ქცევაცა. ძმების სიხარულს აღარა ჰქონდა სა-

ხღვარი; კუჭის გადამუღლაპავმა, ძმის ხათრითა და სიყვარულით, ხელახლა შემოჰკრა თავისი უხნის ჯოხი ხანჯდარსა და აქცია ქალად, მაგრამ შიშველად და მთლად ტან დაშავებულად. ხელმწიფემ მაშინვე ექიმების მოწვევა ბრძანა, მაგრამ ძმამ ერთი კიდევ შემოჰკრა ჯოხი ქალსა და აქცია ისევ მზეთუნახავად. მაშინ ხელმწიფემ აქორწინა თავისი ძმა იმ მზეთუნახავზედა და ქალის მამასაც შეატყობინა. მამას, რასაკვირველია, ძალიან გაუხარდა ქალის პოვნა და მაშინვე სანახავად გამოემურა. ბოლოს თავისი საყვარელი ქალი და ექიმი სიძე წაიყვანა თავისს სახელმწიფოში და ტკბილად და ბედნიერად იწყეს ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
ორი ვაშლი მქონდა: ერთი მთქმელს, ერთი მსმენელს.

**დათ. კილოსანიძე,**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# გეოგრაფიული ცნობანი.

(თარგმანი ინგლისურით)

(გაგრძელება).

## სურათები და გეგმები.

ხუთშაბათს საღამოზედ, როდესაც ბავშვები დაბრუნდნენ სასწავლებლიდან, ბიძიას გამოუცხადეს, რომ მომავალ კვირას მათ ექმნებათ გაკვეთილი სკოლის გეგმის დახაზვისა.

— რომელმა თქვენგანმა იცის, რა არის გეგმა?—იკითხა ბიძია ბობმა.

— მე მგონია სურათია,—მიუგო ვილლიმ,—რადგანაც მასწავლებელმა გვითხრა, რომ მოგვიხაზავს გეგმას ჩის დაფაზედ და რომ შემდეგ ჩვენ გადაგვაღებინებს იქიდამა.

—სრულიადაც არა! ეგ სურათი არ არის,—სთქვა ბიძია ბობმა.

— მაშ რა არის?—იკითხა ტომმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ გსურთ, გაიგოთ, ვეცდები გაგაგებინოთ.

— კარგი იქნება,—მიაძახეს ბავშვებმა.

— მაშ კარგი! ჯერ აგიხსნით, რა არის სურათი,—სთქვა ბიძია ბობმა.—აი ჩემ პირდაპირ ძევს ჩემი სიგარის ცარიელი კოლოფი. მომაწოდეთ ე ქვის სახაზი (გრიფილი) და დავიხატავთ დაფაზედ კოლოფის სურათს. ხომ ჰხედავთ—ეს ოთხ-კუთხი კოლოფია, რომელსაც ოთხივე გვერდი თანასწორი აქვს,—თანაბარ სიგანე სიმაღლისა. კოლოფს აქვს ძირი, რომლითაც მაგიდაზედა სდგას. რადგანაც კოლოფს სუფი ჰხურავს, ჩვენ შეგვიძლიან დავინახოთ მხოლოდ მცირედი ნაწილი მის შუაგულისა. ახლა დავხატავ კოლოფს ისე, როგორც ჩვენ გვეჩვენება იგი. აი უყურეთ—ეს არის სურათი სიგარების კოლოფისა.

— რა კარგია!—სთქვა ვილლიმ.—სწორედ კოლოფს არა ჰგავს!

— არა,—მიუგო ბობმა,—ნამდვილ კოლოფისთანა არ არის, მაგრამ გვიჩვენებს, როგორ გვეჩვენება კოლოფი, როდესაც ჩვენ წინა სდგას. თუ კარგად დააკვირდებით ამ სურათს, შეამჩნევთ,რომ უკანა გვერდები და კოლოფის ზემო ნაწილი უფრო მოკლედ არის გამოყვანილი, ვიდრე წინა გვერდი; თუმცა ვიცით, რომ ოთხივეს ერთი და იგივე სიგანე-სიმაღლე აქვს. მე ეს მოვხაზე იმიტომ, რომ აქედან უკანა მხარე უფრო მოკლედ მეჩვენება. წინა მხარე მარჯვენაზედ უფრო განივრად მოვხაზე.

— მართალია, მაგრამ რისთვის მოხაზეთ ეგრე?

— იმავე მიზეზის გამო: რადგანაც აქედან,—სთქვა ბიძია ბობმა,—იგი უფრო განივრად მეჩვენება.

შეადარა ვილლიმ ერთი მეორეს სურათი და კოლოფი და სთქვა: ნამდვილიაო სწორედ!

— აი ხომ ჰხედავთ, სურათია იმისთანა ნახატი, რომე-

ლიც ისე გვიჩვენებს ნივთს, როგორათაც გვეჩვენება, რომე-საც წინ ვუდგევართ ან ვუზივართ. სურათი ყოველთვის ნამ-დვილს ფორმას და რაოდენობას-კი არ გვიჩვენებს,—გვიჩვე-



ნებს მხოლოდ ფორმასა და სიდიდეს, როგორც გვეჩვენება, როდესაც რომე-ლისამე მხრიდან ვშინჯავთ, ან ვუყუ-რებთ.

— მაგრამ, ბიძიავ, ის რომ არ აგიხსნიათ, რა არის გეგმა? დაეკითხა ვილლი.

— მართალია, არ ამიხსნია! აი ახლავე იმასაც აგიხსნით. აიღეთ მაგიდიდან ცარიელი სიგარის კოლოფი და დასდევით ძირს იატაკზედ.

ვილლიმ ბიძიას ბრძანება შეასრულა.

— ეხლა წამოდექით ფეხზედ, დაჰხედეთ ზევიდგანა და მომიგეთ, რასა ჰხედავთ.

— მე ვხედავ მხოლოდ კოლოფის ძირს,—სთქვა ვილ-ლიმ.—ოთხი მისი გვერდი-კი ისე მეჩვენება, როგორც ოთხი სწორე ხაზი.

— დიახ, აგრეა,—სთქვა ბიძია ბობმა.—აი, დაგიხატავთ იმას, რასაც ახლა თქვენის თვალითა ჰხედავთ.

ბიძია ბობმა აიღო ხელში ქვის პატარა დაფა და მასზედ მოუსო ოთხი თანასწორი ხაზი.

— აი, უყურეთ! — სთქვა ბობმა,—ეს არის კოლოფის გეგმა. კიდევ სხვანაირადაც შეგვიძლიან მოვხაზოთ იგი. აიღეთ ნახშირის ნაჭერი,—



ბრძანა ბიძია ბობმა,—და შემოუსაზეთ იატაკზედ დადგმულს კოლოფს ოთხივე გვერდი.

როდესაც იატაკიდან აიღო ხელში კოლოფი, იატაკზედ დარჩა შემონახაზი იმ ადგილას, სადაც კოლოფი იდგა,—იმო-დენავე სწორედ, რამოდენაც თვითონ კოლოფი იყო.

— ახლა სხვა გეგმაც დახაზეთ იატაკზედ,—უთხრა ბიძამ.

— ეგ, ოთხ-კუთხია,—სთქვა ვილლიმ.

— მართალია,—მიუგო ბიძია ბობმა.—მე რომ გეგმა დაგიხატეთ, ისიც ოთხ-კუთხია. კოლოფის ძირი, როგორც ჰხედავთ, ოთხ-კუთხია და მხოლოდ მას ვხედავთ, როდესაც ზემოდან დავცქერით. ახლა ავიღოთ მურაბის ქილა,—სთქვა ბობმა.—მე ჯერ დაფაზედ დავიხატავთ მის სურათს. აი როგორ გვეჩვენება იგი, როდესაც ჩვენ პირ-და-პირა სდგას. ახლა იატაკზედ დავდგამ და ზევიდგან დაჰხედეთ. აბა რას ჰხედავთ?



— მე ვხედავ,—მიუგო ვილლიმ—მხოლოდ წრეს.

— დიახ, ეგრეა სწორედ!—მიუგო ბიძია ბობმა

შემოვხაზავ თქვენს დაფაზედ წრესა და ეგ იქნება გეგმა ქილისა. ან არა და, ტომ, აბა, აიღე ისევ ნახშირი ხელში და ქილას ისევ გარს შემოუხაზე. ხომ ხედავ, შენ ახლა იატაკზედ გაქვს გეგმა ქილისა მაგვარი კრკალისა. გაიგეთ ახლა რა არის გეგმა და რაც მსურდა, სამუდამოდ და კარგად დაგახსომდეთ? გეგმა არის იმისთანა ნახატი, რომელიც ნამდვილ სახეს გადმოგვცემს იმ ნივთისას, რომელსაც ზევიდგან დავცქერით.






## კვერცხის კაცი.

(წარმოდგენილი დიმ. დეკანოზიშვილის მიერ).

უმს კვერცხს ერთ-ერთი თავი გაუხვრიტეთ ქინძისთავითა და გამოსწუწნეთ, რომ შიგ აღარაფერი დარჩეს. შემდეგ ამ ცალიერს კვერცხზედ დასატეთ თვალები, ცხვირ-პირი და სხვა. ბოლოს ბამბის თმა და წვერ-ულვაში გაუკეთეთ, როგორც ნამდვილს ადამიანსა და კვერცხის კაცი მზად იქნება.

---

## შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი სოლომონ გოშაძისაგან).

პირველი არის ყვავილი, გაზაფხულისა შვენება,
მეორეა ასო ან-ბანის მთელს დასასრულში ქთქმება;
მთელი სიტყვა-კი ფრინველის სახელწოდება იქნება,
თვითონ ხუხტია, გალობით პირველ ფრინველად ითვლება.

---

## გ ა მ ო ც ა ნ ა.

სად მიხვალ, შე მოკაკულო?
—მე მივალ გამართულთანა.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

